სუფსაში იუსტიციის სახლი გაიხსნა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში ახალი იუსტიციის სახლი გაიხსნა, სადაც მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის ეფექტური მომსახურება.

სუფსის იუსტიციის სახლის გახსნას იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე,** გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ერეკლე ღვინიანიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

იუსტიციის სახლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მოქალაქეებისთვის სახელმწიფო სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 27 (10439) 24 ოქტომბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

პოლონეთში ციტრუსის, თხილის, ჩაის და თაფლის ექსპორტის საკითხი განიხილეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილესა და ქალაქ კატოვიცეს სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარესთან შეხვედრები გამართა – ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მერია ავრცელებს.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებსა და მუნიციპალიტეტებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების შესაძლებლობებზე იმსჯელეს, სადაც **ავთანდილ თალაკვაძემ** პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ოზურგეთიდან ციტრუსის, თხილის, ჩაის და თაფლის ექსპორტის საკითხი განიხილა.

მათივე ცნობით, ოზურგეთის მერმა პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს ინფორმაცია გაუზიარა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, საინვესტიციო შესაძლებლობებსა და საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებზე.

შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები **მია კუტუბიძე** და **მინდია ელერია** მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის მიმდინარეობა და მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

სოფელი ლიხაური –წარსულიდან მომავალში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი კოლორიტული სოფელია ლიხაური. იგი ძირითადად ულამაზეს მდინარე აჭისწყლის ხეობაში მდებარეობს. ლუხაურის თემში ამჟამად შედის სოფლები: აჭი, კვაჭალათი, ნიაბაური, ოქროსმუხურო.

ცნობილი მკვლევარ დიმიტრი ბაქრაძის სიტყვებით სოფლის ძველი სახელწოდებაა –„რეხეული“, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი თავის შრომაში იხსენებს სოფელს, როგორც –„ლეხაური.“

„სოფელი ლეხოური საუკეთესო ადგილად ითვლებოდა გურიაში თავისი მდებარეობით, ჰავით, ძველი, კარგად დაცული ციხით, ეკლესიებით და მათში შენახული სიძველეებით... ლეხოურს ჩქარი აჭისწყალი ჩამოუდის. წყალს სათავე უდევს ადგილ აჭიაში. ჩემ დროს აჭისწყალი კალმახით იყო განთქმული. იგი ერთვის მდინარე ბჟუჯს, ოზურგეთის მახლობლად. ლეხოურის საზოგადოებაში შედის, ლეხოურს გარდა კიდევ სოფლები: აჭი, ნიაბაური, ქაქუთი და ჭანიეთი. თვით ლეხოურს შუა ადგილი უჭირავს ჩამოთვლილ სოფლებს შორის. აჭი და ნიაბაური გაშენებულია აჭისწყლის მიდამოებში გურია-აჭარის სამხრეთ ქედებზე, ქაქუთი –მდინარე ჩოლოქის პირზე. ეს მდინარე 1879 წლამდე რუსეთს საზღვრავდა ოსმალეთისაგან.“ აღნიშნავდა ექვთიმე თაყაისვილი.

სოფელ ლიხაურში 1873 წელს გაიხსნა სკოლა. 1908 წელს ლიხაურის საზოგადოებაში შედიოდა 5 სოფელი და მოსახლეობა შეადგენდა 2542 კაცს. 1912 წელს ლიხაურში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალი, რომელსაც ლიხაურის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი ნესტორ კონტრიძე უძღვებოდა. საზოგადოებამ გახსნა სამკითხველო, რომელშიც 700-ზე მეტი წიგნი იყო და 790 ადამიანს ემსახურებოდა.

ლიხაურის ცენტრს ოდითგანვე ჯვარს უწოდებდნენ, რადგან ტოტებგაშლილი დიდი მუხის ძირში ესვენა ქვის დიდი ჯვარი.

დიდი ზიანი მიაყენა ლიხაურს 1918 წელს ოსმალების შემოსევამ. მათ გაძარცვეს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრისები, გაანადგურეს ლიხაურის ბიბლიოთეკა და ა.შ. ამას დაემატა გასაბჭოების შემდეგ რევკომის თავმჯდომარის, ტერორისტ თევდორე შავიშვილის მიერ მოწობილი საეკლესიო წიგნების აუტოდაფე. ამაოდ ეხვეწებოდა ნესტორ კონტრიძე თევდორე შავიშვილს – „ეს ჯვარი (ბაჯაღლო ოქროს ქრისტეს გამოსახულებით, რომლის წონა ნახევარი კილოგრამი იყო) ეკლესიის არ არის, ეს მთელი ლიხაურის საკუთრებაა და ნუ წაართმევ ხალხს ამ უნიკალურ განძსო,“ მაგრამ მოხუცის ცრემლმა ვერ გაათბო სისხლთან ერთად ოქროს მოტრფიალის გული“ (ერემი სალუქვაძის მოგონებიდან „ლიხაური და მისი ჯვარი,“ გაზეთი „ლეხოური, №2, 26 მაისი, 1990 წ.).

სოფელ ლიხაურის მკვიდთაგან ცნობილი მოღვაწეები გახლავთ: მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი (ექვთიმე ღვთისკაცი); ექვთიმე ძმა, სამხედრო მოღვაწე – გენერალ-მაიორი ვარლამ თაყაიშვილი; ლიხაურის ტაძრის წინამძღვარი, მგალობელი ნესტორ კონტრიძე; ცნობილი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა; საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სიმონ სურგულაძე; წმინდა გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი, ვალოდია გოგუაძის ცნობილი ჯავშოსანი მატარებლის მებრძოლი პორფირე

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორეი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შეხვედრა „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** გენდერული საბჭოს თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველიასთან** ერთად „ონკო ქეა ჯორჯიას“ წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრა კამპანია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში შედგა.

ეს თარიღი მსოფლიოში 1997 წლიდან აღინიშნება, მიზანი კი ძუძუს კიბოს რისკების შესახებ ცნობადობის გაზრდა, რეგულარული თვითშემოწმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და კიბოს სკრინინგის აუცილებლობაა.

როგორც ლანჩხუთის მერმა აღნიშნა, სკრინინგი და დროულად კვლევების ჩატარება თავიდან აგვაცილებს სხვადასხვა დაავადების რისკს. მნიშვნელოვანია ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება. ქალბატონებმა მადლობა გადაუხადეს ალექსანდრე სარიშვილს ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გურიის ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით და ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მხარდაჭერით, გურიაში, ქალებისთვის ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ჩატარება იგეგმება.

31 ოქტომბერს-ლანჩხუთში სკრინ ნგის ჩატარებას შეძლებენ ქალბატონები: 40-დან 70 წლის ჩათვლით (ძუძუს კიბოს სკრინინგი); 25-დან 60 წლის ჩათვლით (საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი)

სკრინინგის ჩატარება შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართზე:

ლანჩხუთი-კლინიკა „მედალფა“

101 წლის ქეთევან გოგუაძეს დაბადების დღე მიულოცეს

20 ოქტომბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში მცოხვრებ 101 წლის **ქეთევან გოგუაძეს** ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** დაბადების დღე მიულოცეს.

ლანჩხუთის მერმა ქალბატონ ქეთევანს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ქალბატონი ქეთევანი პროფესიით პედაგოგია და წლების განმავლობაში მეუღლესთან ერთად სოფლის სკოლაში მუშაობდა. მან ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებს ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა.

101 წლის ქალბატონს ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში პირად ანგარიშზე 1000 ლარი დაერიცხა.

ბაილეთის სკოლის მოსწავლეებმა მდინარე სუფსის სანაპირო დაასუფთავეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაილეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა ბიოლოგიის პედაგოგ ნინო ქილიფთართან და სამოქალაქო კლუბის მეურვე პედაგოგ ირმა გორდელაძესთან ერთად მდინარე სუფსის სანაპირო დაასუფთავეს.

სუფთა მდინარე! სუფთა გარემო! ირჩევს მომავალი თაობა.

პროკურატურამ დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტები გამოავლინა

საქართველოს პროკურატურამ დაბა გომისმთაში, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ სამი ფაქტი გამოავლინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წელს, ბრალდებულები ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთაში მდებარე მიწის ნაკვეთებს, რითაც სახელმწიფოს 133 692 ლარის ქონებრივი ზიანი მიაყენეს.

სამივე ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა ჩადენილი დანაშაული. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, მათ ჩამოერთვათ თაღლითურად დაუფლებული მიწის ნაკვეთები, რომელიც დაუბრუნდა სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას, როგორც დაბა გომისმთაში, ასევე დაბა ბახმაროში ანალოგიური დანაშაულის ჩამდენი პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

დაბა გომისმთაში და დაბა ბახმაროში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 38 პირის მიმართ და სახელმწიფოს 1 120 041 ლარის ღირებულების უძრავი ქონება დაუბრუნდა.

აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.



მთისპირის საბავშვო ბაღში სიმღერის გაკვეთილები ამიერიდან ინსტრუმენტის თანხლებით ჩატარდება

ქალბატონი ნანი ცეცხლაძე უკვე სამი წელია მთისპირის საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელია. ის სოფელი ლიხაურიდანაა და მთისპირში კვირაში სამჯერ უწევს ჩასვლა სიმღერის გაკვეთილის ჩასატარებლად. ზაფხულის არდადეგების შემდეგ სექტემბერში საბავშვო ბაღში დაბრუნებულ ბავშვებს და პედაგოგებს ელექტრო პიანინო დახვდათ ბაღში. ეს კი ნიშნავს, რომ სიმღერის გაკვეთილი და საბავშვო ბაღის ზეიმები ამიერიდან ინსტრუმენტის აკომპანიმენტით ჩატარდება.

„არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა სამსახურიდან მოვდიოდი, გზად მანქანა შემხვდა, გამიჩერეს და ოზურგეთამდე ჩაყვანა შემომთავაზეს. გზაში გავიცანით ერთმანეთი და ბახვი ჰესის მენეჯმენტის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი ამ ადამიანებს. მათ გამომკითხეს, თუ სად ვმუშაობდი. მოვუყევი ყველაფერი ჩემი საქმიანობის შესახებ და საუბრისას ვახსენე, რომ პიანინო არ გვქონდა. რამდენიმე დღეში ძალიან კარგი სიახლე გავიგე, რომ ჩვენს საბავშვო ბაღს ელექტრო პიანინო შეუძინეს. ამ ადამიანებს ჰქონიათ მომავალი თაობის მიმართ დიდი სიყვარული. ელექტრო პიანინო მოულოდნელი სიხარულია ჩვენთვის, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა საგაკვეთილო პროცესების უკეთესად ჩატარებაში. ბავშვებისთვის დიდი სიხარული მოაქვს ამ ყველაფერს“ – განაცხადა ჩვენთან საუბარში ნანი ცეცხლაძემ, საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელმა.

მთისპირის საბავშვო ბაღი განთავსებულია ყოფილი ამბულატორიის შენობაში, თუმცა უკვე მზადაა ახალი პროექტი და თანამედროვე, მაღალფუნქციური ბაღის მშენებლობა უახლოეს მომავალში იგეგმება. ამჟამად, საბავშვო

დაფინანსებული ფართიალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

სოფელი ლიხაური –წარსულიდან მომავალში



გორგოშიძე; მწერალი ვანო სერელი (სალუქვაძე); წამალ-თმცოდნე სოკრატ სალუქვაძე; მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გიზო ჭელიძე და ალექსანდრე გობრონიძე...

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა შორის იყო ლიხაურელი სტუდენტი ნინო თოიძე, რომლის სახელობის საზოგადოება მოქმედებდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

ლიხაურის ისტორია წარმოუდგენელია ტაძრების გარეშე. აჭის წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის ერთნავიანი ეკლესია, რომლის აგების თარიღი მე-13 საუკუნე მიიჩნევა; ლიხაურის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომლის აგების თარიღად ასევე მე-13 საუკუნის მეორე ნახევარი სახელდება. ამ ტაძრის მოძღვარმა ნესტორ კონტრიძემ შთამომმავლობას შემოუნახა მე-11 საუკუნის ლიხაურის სახარება; ოქროს მუხუროში მდებარე ხიტილაურის ეკლესია კომკავშირელებმა დაანგრიეს.

* * *

სოფელ ლიხაურს გასულ ოთხშაბათს ვესტუმრეთ. გავეცანით სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამით დასაქმებულ მოქალაქეებს გავესაუბრეთ.

დილა იყო და სოფლის ცენტრში 57 წლის **ნათელა ბერძენიშვილი** სოფლის ადმინისტრაცილი შენობის წინა მოედანს ასუფთავებდა..

– სანამ ჯანმრთელობა მქონდა, ბევრ ადგილას ვმუშაობდი: საყვავილე მეურნეობაში, მეფრინველეობის ფაბრიკაში, ჩაის მცირე საწარმოში და ა.შ. მაგრამ, შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მუშაობის გაგრძელება ვერ შევძელი. სახლში ჩემთან 62 წლის ძმა ცხოვრობს –შშმ პირია. საპენსიო ასაკი არ შეგვსრულებია და მხოლოდ სსოციალურ დახმარებას – 60 ლარს ვიღებთ. ძალიან დაგვეხმარა პრემიერის მიერ ინიცირებული პროგრამა –0,5 განაკვეთზე დამნიშნეს და 150 ლარს ვღებულობ. ამბობენ მომავალი წლიდან 300 ლარი მექნება. ეს დიდი შეღავათია ჩემი ოჯახისათვის.,–გვითხრა მან.

ამ პროგრამის საშუალებით დასაქმდა სამი შვილის დედა **ეკა** სალუქვაძე.

–გასაბჭოებამდე ჩვენი დიდი ბაბუა პლატონ სალუქვაძე ფლობდა ნიაბაურში წყლის წისქვილს. წლების წინ დავიბრუნეთ. ფერმერთა ასოციაციის მცირე გრანტით ავამუშავეთ ... ახლა 150 ლარი დამენიშნა და მაქსიმალურად ვცდილობ ვემსახურო ჩემს სოფელს –გვითხრა ეკა სალუქვაძემ.

ლიხაურის ტაძრის მიდამოებს უვლის თინათინ მგალობრიშვილი.

– სოციალურად დაუცველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა. მით უმეტეს ხელფასის მატების პერსპექტივით. ტაძრის მიდამოებს როგორ არ მოვუვლი –თქვა მან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ლიხაურში **ნანა წითლიძე** და მისი თანაშემწე **ერეკლე სალუქვაძე** შემოგვიერთდნენ.

–სოციალურად დაუცველთა დასაქმება აქტიურად მიმდინარეობს. კარგი პროექტია. ამ პროგრამით 30-მდე კაცი დავასაქმეთ. ყოველდღიურად სუფთავდება სოფლის ცენტრი, უბნები, ბალახისგან იწმინდება სასაფლაოები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებულებს ოთხი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი, გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ – გვითხრა ნანა წითლიძემ.

ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულება საფეხმავლო ხიდით დავიწყეთ.

–სტიქიის შედეგად ოქროს მუხუროს დასახლებაში დაზიანდა საფეხმავლო ხიდი. მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე ამოვიდა, მოსახლეობას გაესაუბრა და ხიდის რეაბილიტაციას დაჰპირდა. დღეს კი გვაქვს განახლებული ხიდი, რომელიც „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების“ ფარგლებში 145 466 ლარით დაფინანსდა. სპს „სახარიამ“ კარგად შეასრულა სამუშაოები, – გვაწდის ინფორმაციას სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი.

ოქროსმუხუროში მიმავალ **ჯანიკო გორდელაძეს** გავესაუბრეთ:

– ადრე კოლმეურნეობის ბრიგადირი ვიყავი და კარგად ვიცი ჩემი სოფლის ავან-ჩავანი. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ეს ხიდი. კარგად იმუშავეს მშენებლებმა და მართლაც კარგად გააკეთეს იგი. ფეხით მოსიარულესათვის დიდი შეღავათია ეს ხიდი. დიდი მანძილით ამოკლებს ოქროს მუხუროსაკან გზას. აგერ ხედავთ, 3 ავტომობილი დგას. ამის მეპატრონეები გაღმა ცხოვრობენ. აქ აჩერებენ ტრანსპორტს და გზას ფეხით აგრძელებენ. ოქროსმუხუროში სტადიონის გაკეთებასაც შეგვპირდნენ . – გვითხრა ჯანიკო გორდელაძემ.

ვაშტიალისკენ გადავინაცვლეთ. აქ ეკლესიის აღმართში, მზია ურუშაძის ეზოსთან მეწყერი ჩამოწვა და „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში“ გაბიონი კეთდება. ზემოთ კი ქართველ ქართველ წმიდათა მეფეთა სახელობის მამა მონასტერია.

მამათა მონასტრის წიანმძღვარი **მამა ფილიმონი (დარჩია)** მოვინახულეთ. იგი ადრე ჯუმათის მონასტერში მოღვაწეობდა.

სოფელში აჭის დედათა და სამი მამათა მონასტერია. წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სამლოცველოში ავანთეთ სანთლები. ქართველ წმიდათა მეფეთა სახელობის ეკლესიის მშენებლობა თთქმის დასრულებულია. გურიაში კიდევ ერთი სასულიერო ცენტრი იქნება.

მამა ფილიმონმა მორიდებით აღნიშნა, რომ სასურველია ტაძართან და ლიხაურის ციხესთან მიმავალ გზაზე ბეტონის საფარი დაიგოს.

მეწყერის შედეგად დაზიანებული გზები ნიაბაურში გობრონიძეების უბანში და სოფელ აჭში მოვინახულეთ. აქაც პროექტები „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა და მოეწყო გაბიონები. სოფელ აჭში კეთდება სასაფლაოზე მისასვლელი 63 მეტრი სიგრძის ბეტონის გზა. სამუშაოებს შპს „დათა“ ასრულებს. სულ გაბიონების მოწობისათვის 146 ათას ლარამდე დაიხარჯება.

სოფლის მთავარი პროექტი ლიხაური-მაკვანეთის დამაკავშირებელი 5 165 მეტრი სიგრძის ასფალტის გზაა. პროექტი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 1 298 000 ლარით დაფინანსდა. პარალელურად მიმდინარეობს წყლის დაქსელვის სამუშაოები.

– შპს „ჰაიდრო“-ს ოქროს მუხუროში წყლის ახალი ქსელი გაჰყავს და 185 კომლს მრიცხველს უდგამს. სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და მალე დასრულდება – გვითხრა საპროექტო კომპანიის წარმომადგენელმა **მამუკა ბერიძემ.**

სულ 493 869 დაიხარჯება ოქროს მუხუროს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობაზე.

ნანა წითლიძის თქმით გზის მშენებლობისას გამოიკვეთა რომ ოქროსმუხუროს გზის დასაწყისში, მდინარე გუდისწონზე ახალი ხიდი უნდა გაკეთდეს, რაც გზის ასფალტირებას ხელს არ შეუშლის. მისივე თქმით, სოფლის პროგრამის ფარგლებში 9 აპრილის სკვერი შემოიღობება...

– რომ არა კოორდინირებული მუშაობა მერთან, ბატონ ავთანდილ თალაკვაძესთან, მერიის სამსახურებთან, ჩვენს მაჟორიტართან ბექა თოიძესთან, ჩემს თანაშემწე ერეკლე სალუქვაძესთან ერთად, ეს შედეგი არ გვექნებოდა – გვითხრა ნანა წითლიძემ.

ლიხაური-მაკვანეთის დამაკავშირებელი გზა მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

ნუგზარ ასათიანი

თხილის ფასი კატასტროფულად დაეცა

ალიონი. ოზურგეთში თხილის მიმღები პუნქტების უმეტესობა ამ დღეებში მოსახლეობიდან თხილს არ იღებს. ის პუნქტები, რომლებიც მუშაობენ, თხილში საშუალოდ 1,50-დან 2 ლარამდე იხდიან.

–სახელმწიფო მევენახეებს სუბსიდია გაუკეთა და კილოგრამ „ახეკვის“ ფასსაც ვერ ვანაღდებთ. ადრე კონკურენცია იყო ადგილობრივ და სხვა რეგი-ონებიდან ჩამოსულ ჩამბარებლებს შორის. ადგილობრივმა „მაფიამ“ ყველაფერი არია. ახლა, იმ მოტივით, თხილი ცუდიაო, დაადვეს „ტაქსა“და თუ არ შეეხვეწე, 2 ლარსაც არ გადაგიხდიან კარგ თხილში..–გვითხრა ერთ-ერთი სოფლიდან ჩამოსულმა ქალბატონმა მ.დ-მ.

შარშან, არჩევნების წინ აგვისტოს შუა რიცხვებში ჩამბარებლები ერთ კილოგრამ „ბერძნულაში“–4,50 ლარს იხდიდნენ, „გულშიშველაში“–4,20 ლარს. შემდეგ თანდათან დაიწყო კლება თხილის ფასმა.

–თხილის ხარისხი დაბალია, ჩამბარებლებს არ მიაქვთ, გავტეხავთ და ნახავთ, რა გამოვა – გვითხრა ერთ-ერთმა ჩამბარებელმა „ვასაძის პურის“ უკან მდებარე თხილის მიმღებ პუნქტში.

–რას გადაგვიხდით? –შეეკითხეთ.

–30 თეთრს თითო კეკალში –გვიპასუხეს.

ააკაკუნეს-დააკაკუნეს ჩაქუჩი, გადათვალეს-გადმოთვალეს და ერთი ლარი და 30 თეთრი იანგარიშეს 1 კილოგრამ „ბერძნულაში.“

პასუხი თხილის სხვადასხვა მიმღებ პუნქტთან ერთია –*არ მიაქვთ, თხილის ხარისხი დაბალია, ამიტომ თუ მივიღებთ დაბალ ფასს გადავიხდით. წაბლი გააშენთ, ახლა 4 ლარად ვიღებთ კილოგრამს.*

რამდენიმე წლის წინ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამართულ ერთ შეხვედრას ვესწრებოდით, სადაც სოფლის მეურნების სამინისტროს წარმომადგენლები რეგიონში გასაშენებელი კულტურების საკითხს განიხილავდნენ.

–არ ვარგა ბატონებო ძირითადად თხილზე აქცენტის გაკეთება. აგერ გვაქვს ჩაის მავალითი. მარტო ნიადაგის გამოფიტვაზე არ ვსაუბრობ. არ ვიცით, მომავალში რა დაავადებები გაჩნდება და რა მდგომარეობა იქნება მსოფლიო თხილის ბაზარზე –დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა, მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურის იმჟამინდელმა წარმომადგენელმა კოტე სარიშვილმა.

რომ იტყვიან, „დაესივნენ“ სოფლის მეურნეობაში „ჩახედული“ პირები. შემდეგ იგი საერთოდ ჩამოაშორეს ამ დარგს.

ყოველდღიურად იზრდება სურსათის ფასები. სოფლის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი თხილია. მოსახლეობა წუხს, რომ ცუდი ზამთარი ელოდებათ. ისინი ვერ შეძლებენ ოჯახისათვის საჭირო რაოდენობის სურსათის, პირუტყვისათვის თივის, ნამჯის, ქატოს მომარაგებას. მოსახლეობა დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს, მაგრამ საკითხავია, რამდენად ჩაერევა სახელმწიფო კერძო სექტორის საქმიანობაში.

თომა მუჯირის გახსენება

გურული სიმღერების ოსტატ შემსრულებელთა შორის თომა მუჯირს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი ეკუთვნის მომღერალთა იმ ჯგუფს, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს ეს უნიკალური საგანძური და თავის დროზე დაატკბეს თავისი გემრიელი ხმით და სიმღერის ღრმა ცოდნით მაყურებლები. თომა მუჯირი მართლაც გამოირჩეოდა თავისი გურული ტემბრით და არაჩვეულებრივი მანერით.

მე კარგად მახსოვს ბატონი თომა, რადგან იგი მამაჩემის — ილარიონ სიხარულიძის მეგობარი იყო და ხშირად გვსტუმრობდა ჩვენს ოჯახში. რამდენჯერმე მამაჩემი მამღერებდა კიდეც. მას ბევრჯერ ფულიც უჩუქებია ჩემთვის და შეჯუქივარ კიდეც:— „შენ კი მომღერალი დადგებიო.“ განსაკუთრებით მახსოვს მისი ნამღერი უძველესი გურული სიმღერა „ინდი-მინდი-ფერად შინდი,“ რომელსაც ახლაც ხშირად ვისმენ და ეს სიმღერა შეიძლება ჩაითვალოს მისი უამრავი ჩანაწერიდან ერთ-ერთ უნიკალურად.

თომა ნოეს ძე მუჯირი დაიბადა 1908 წელს სოფელ ბოხვაურში. იგი ბავშვობიდან გამოირჩეოდა როგორც შრომისმოყვარე და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თომა მუჯირი ხდება ცნობილი ლოტბარის, ვარლამ სიმონიშვილის გურიის ეთნოგრაფიული გუნდის წევრი. ამავე გუნდის წევრები იყვნენ თომას მამიდაშვილები, თითქმის თანატოლები, შემდგომში ცნობილი ლოტბარი ესე ჭანიშვილი და ასევე ცნობილი მომღერალი ტელე იობიშვილი.

თომა მუჯირი, როგორც უნიკალური სმენისა და განსაკუთრებული ხმის მქონე, ხდება ანსამბლის ნომერ პირველი მომღერალი. მას ჩაწერილი აქვს გურული სიმღერები: „ხასანბეგურა,“„ შვიდკაცა,“ „ინდი-მინდი,“„მიყვარს-მიყვარს,“ „შავი შაშვი“ და სხვა.

თომა მუჯირი 1934 წელს მიწვეული იქნა აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც პლატონ ფანცულაია ხელმძღვანელობდა. ანსამბლი გასტროლებს ატარებდა ქ. თბილისში და თომას მიერ შესრულებულმა გურულმა სიმღერებმა „ინდი-მინდი,“„შავი შაშვი,“ „ხასანბეგურამ“ და „შვიდკაცამ“ აღტაცებაში მოიყვანა თბილისელი მაყურებელი.

1935 წლის ბოლოს თომა ისევ ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წევრია. ამავე წელს ვარლამ სიმონიშვილია ანსამბლი მიწვეულ იქნა ქ. მოსკოვში გასტროლებზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

1939 წელს თომა ქ. თბილისში, ხალხური სიმღერების ოსტატთა ახლადშექმნილ ანსამბლში მიიწვიეს, რომელსაც რემა შელეგია ხელმძღვანელობდა. იმავე წელს ზემოთაღნიშნული ანსამბლი მიწვეულ იქნა ქ. მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაზე.

1940 წლიდან თომა მუჯირი კვლავ ვარლამ სიმონიშვილს გუნდს უბრუნდება და ამ ანსამბლი რჩება ვარლამის გარდაცვალებამდე.

როცა გარდაიცვალა ვარლამ სიმონიშვილი თომას ბევრი უტირია, ეს იყო პირველი ცრემლი, რომელიც ოდესმე შეუმჩნევიათ ამ ბრგე ვაჟკაცის თვალებზე. თომას ხელი ჩაუქნევია და სამუდამოდ დაუტოვებია სცენა.

ამის შემდეგ იგი იყო სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე.

თომა მუჯირი ვარლამ სიმონიშვილის უსაყვარლესი პიროვნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ თომა ხშირად აგვიანებდა მეცადინეობაზე, მეგობრულ დარიგებებს ალლევდა არ გაუჯავრდებოდა. ეტყოდა: — *თომა, შენ არაჩვეულებრივი მომღერალი ხარ და საჭირო ხარ გუნდისათვის. ამიტომ, ნუ გააცდენ მეცადინეობასო.*

ხდებოდა ისე, რომ თომას კვლავ მოუწია მეცადინეობაზე დაგვიანება. მაშინ ვარლამმა ანსამბლის წევრებს უთხრა: — *თომა კიდევ თუ დაგვიანებით შემოვა სამეცადინო დარბაზში, მას არავინ არ გასცეს ხმა და არ მიესალმოსო.*

მორიგ რეპეტიციაზე თომამ ისევ დაგვიანა, ცოტა ნასვამმა შეაღო დარბაზის კარი.

—„*გამარჯობა თქვენი ხალხო,*“—მიესალმა იგი მეგობრებს.

პასუხი არაა.

თომამ გაიარ-გამოიარა და კიდევ მიესალმა ანსამბლის წევრებს:

—„*გამარჯობათ ხალხნო თქვენი*“— ისევ არ არის პასუხი.

თომა ცოტა ხანს შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა, დარბაზის კუთხეში მივიდა და დაიწყო ტანსაცმლის გაძრობა — ჯერ პალტო გაიხადა, შემდეგ პიჯაკი, და ბოლოს შარვლის გახდა რომ დაიწყო, ქალებმა იკივლეს: —„*რას შობა —შარვალს იძრობსო.*“

თომა შემობრუნდა და დაიძახა: —„*ხართ აქანე ვინმე?*“ ამაზე ატყდა ხარხარი და თომა შეაჩერეს.

ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლი 30-იანი წლები. მესამე რიგში მარცხნიდან მეორე თომა მუჯირი

1964 წელს, როცა ვარლამ სიმონიშვილს იუბილე გადაუხადეს, თომას ვარლამის სხვა მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საიუბილეო კონცერტში და ერთხელ კიდევ გაახარა გურული ფოლკლორის თაყვანისმცემლები თავისი ტკბილი ხმით. სამწუხაროს ეს დარჩა მისი უკანასკნელი გედის სიმღერა.

თომას შესახებ ცნობები მისმა შვილიშვილმა ამირან მუჯირმა მომაწოდა და მიამბო თომას ტრაგიკული დაღუპვის შესახებ. იგი 1964 წელს ავტომობილის შეჯახების შედეგად დაიღუპა. იგი დაკრძალულია სოფელ ბოხვაურში.

მის დაკრძალვაზე ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ასეთი სიტყვა უთხრა: —„*შენ ნათელო და მართალო კაცო, დღეს აქ შეკრებილნი შენი მეგობრები უკანასკნელად გიგალობებთ ვარლამისეულ ზარს, რომელიც შენ მის ცხედართან ოდესღაც გიგალობია.*“

და ბოლოს, თავისი სიყვა დაუმთარებია ასეთი სტრიქონით:

„შენი დაკარგვით ცოლშვილს, მეგობრებს
გვრჩება დარდი და ცრემლების თოვა,
სამარადისოდ გემშვიდობებით —
მართალო კაცო —ძვირფასო თომა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ეს მართლა — მართალი და შრომისმოყვარე, ნიჭიერი და არაჩვეულებრივი მომღერალი თომა მუჯირი!

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა“

იგი ულამაზეს შემოქმედში დაიბადა 1925 წლის 30 დეკემბერს — უძველესი ისტორიული წარსულისა და უდიდესი კულტურულ-ქრისტიანული ტრადიციის მქონე სოფელში...სადაც პირველი სასულერო-საკათედრო ტაძარი 1422 წელს დაარსდა (გელათის სასულიერო ცენტრზე ერთი საუკუნით ადრე).იზრდებოდა ცნობილი მელიმონათის (მისი მამა საუკეთესო ხარისხის ლიმონათის ამზადებდა) ოჯახში, სადაც სტუმარმასპინძლობის, საყოფაცხოვრებო და საწესჩვეულო კულტურის დიდი ტრადიცია არსებობდა.

სოფლის სიმდიდრეს განსაზღვრავდა არა მარტო ულამაზესი, თვითნაბადი გარემო, არამედ იმ ადამიანთა სიმრავლე, ვინაც თავის დროზე, ლამაზი კვალი დატოვა. ამჯერად ძირძველი შემოქმედელი ფეხბურთელი, ვალიკო ჭანუყვაძე გვინდა გავიხსენოთ. იგი შემოქმედის ცნობილ სპორტსმენთა დიდ პლეადას (მამაშვილი ტოგო და გივი დუმბაძეები, ვალერიან გეგიაძე, ჟორა ერქომაიშვილი, ანზორ სიამაშვილი, ბახვა გიორგაძე, გივი გვარჯალაძე და სხვ.) ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მას, თავის დროზე, დიდი სიხარული მოჰქონდა ფეხბურთის გურული გულშემატკივრებისათვის.

ვისაც კი, მისი თამაში ერთხელ მაინც უნახავს, — ყველა აღტაცებაში მოსულა და უთქვამთ, რომ იგი, ისეთივე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, როგორი წარმოსადეგიც თვითონ იყო. ის დაცვაში თამაშობდა, 4-ნომრიანი მაისურით. თამაშის დროს, მაყურებელი ზედმეტსახელს —„კეპკას“ სკანდირებდა და ასე „ეფერე-ბოდა“საყვარელ ფეხბურთელს. იგი, თავისი დროის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება, საუკეთესო გარეგნობის, მუდამ გემოვნებით ჩაცმული, ზრდილი და თავაზიანი, რომელთან მეგობრობითაც ამაყობდა ყველა თაობის ადამიანი, მათ შორის ძლიერნი ამა სოფლისანი, —იმ იშვიათ ადამიანს ეკუთვნოდა, რომლებიც არ კარგავდნენ მეგობრებს და მუდმივად ეძებდნენ.

ახალგაზრდობიდამ მეგობრობდა ბატონ შოთა ჭანუყვაძესთან (როცა ვალიკო ფეხბურთელი იყო, იგი მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი იყო), მიშა, მამია და რეზო ჭანუყვაძეებთან, ნესტორ თოიძესთან, რეზო კოპალერიშვილთან, —ბატონი რეზო კოპალეიშვილი, ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდის ახალგაზრდა ექიმი იყო.

ბატონი ვალიკოს მეგობრები იყვნენ, იმ დროინდელი მახარაძის რაიონის ძალოვანების წარმომადგენლები: ვახტანგ ჩხიკვიშვილი, სიმონ შეწირული, დავით აბაშიძე და სხვები. მას ჰყავდა საუკეთესო მეგობრები თითქმის ყველა რეგიონში: ბატონი შალვა გიორგაძე, რომლის აგებულიც არის სოფელ შემოქმედის ცენტრში მდინარე ბეჟუის ხიდი; ბატონი ოთარ გოგიბერიძე, — როცა თბილისიდან იგი, სამუშაოდ მახარაძეში გამოგზავნეს, მისი პირველი მასპინძელი ვალიკო ჭანუყვაძის ოჯახი იყო; ბატონები ამირან ჯიჯიეშვილი და ვალიკო ჭანუყვაძე ახალგაზრდობიდან მეგობრობდნენ, ამ მეგობრობის გამოძახილი იყო შემდგომში, მათი ერთ ქუჩაზე (ლერმონტოვის ქ.) და პირისპირ სახლობა.

ფეხბურთის ნამდვილი ფანი, ბატონი ამირანი, ხშირად იხსენებდა, რომ მისი სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევის აღსანიშნავი სუფრა, არსენ ჭანუყვაძის (ვალიკოს მამა) ოჯახში გაიშალა და პირველი ღამე ამ სოფელში ამ ოჯახში გავათიეო.

ბატონი ვალიკო კარგი მონადირეც იყო, და რაიონში თბილისიდან ან სხვა რეგიონიდან ჩამოსული საპატიო სტუმრების სუფრას, ხშირად მისი ნანადირევი შვლის მწვადი ამშვენებდა. ავტომოყვარულიც იყო, ახალგაზრდობიდან მართავდა მანქანას და ერთი მარცხიც არ განუცდია საჭესთან. არ იყო სუფრის აშუღი,ბევრს არ სვამდა,არ თამადობდა და ამიტომ სუფრიდან გაპარვაც იცოდა. ერთ-ერთი ქეიფის დროს ბატონმა ანზორ სიამაშვილმა (ზედმეტსახელად „სკენდერა,“ ქუთაისის „ტორპედოს“ ცნობილი ფეხბურთელი იყო), ბატონ ვალიკოზე ადრე დატოვა სუფრა —მას სხვა ინფორმაციაც ჰქონდა!! ჩაწვა ბატონი ვალიკოს „პობედის“უკანა სავარძლის კიდეზე, და როცა ასევე სუფრიდან გამოპარული ქალბატონი ჩაუჯდა ვალიკოს მანქანაში, ანზორიც წამოიმართა „პობედის“ იატაკიდან, და ...თურმე ძლივს გამოასწრო ცოცხალმა ვალიკო ჭანუყვაძეს. პაოლო იაშვილისა არ იყოს — „სულ ელოდა მშვენიერი ქალთა კრებული!!“

ის მტრის ჯავრსაც არ შეჭამდა, ასე მოხდა მაშინაც, როცა მუტრუკი სვანი თურმე ბაქიობდა,— შემოქმედში ჩემი მომრევი არავინ არისო; ვალიკომ, თავისი ცნობილი საყვარელი ილეთით —„თავურით,“ ელვის უსწრაფესად ჩაანარცხა იგი ორმოში, და შემოქმედში დარჩენის სურვილი სამუდამოდ დაუკარგა.

ბატონი ვალიკო სხვადასხვა პასუხსაგებ თანამებობაზე მუშაობდა, მათ შორის იყო დამაარსებელი და პირველი დირექტორი ე.წ. —„ჭიხვარიების ატეკის,“ (№7 ავტოკოლონა). ეს სახელი ამ ავტოკოლონას, მისმა ბავშვობის მეგობარმა ლეონიდე მახარაძემ შეარქვა. ბატონ ლეონიდეს (იგი მაშინ ბოხვაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო), თურმე მეგობრებმა ახარეს, ძებნილი ავაზაკის, გვარად ჭიხვარიას დაპატიმრების შესახებ. მას ასე უპასუხია მათთვის: —რა ხერია ერთი „ჭიხვარიას“ დაჭერა, როცა, აგერ ვალიკო ჭანუყვაძემ, „ასი ჭიხვარია“ ერთად აიყვანა მძღოლად, რომელი სად მოგკლავს არ ვიცი.

ბატონი ვალიკო — თავისი დროის ცნობილი საყვარელი სპორტსმენი, შეიდა გურიის, და შესაბამისად ქართული ფეხბურთის ისტორიაში. უდიდესმა ენთუზიაზმა შეაძლებინა შეუძლებელი, იგი ვარჯიშებზე შემოქმედიდან ფეხით დადიოდა ოზურგეთში და დღეში თითქმის 15 კილომეტრის გავლა უწევდა. მან და მისმა თანგუნდელებმა (დუდე და ზაზა მასხულიები, რუბიკა ხუჭუა, კოტე გოგატაძე, ავთო ურუშაძე და სხვ.) პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით, შეუძლებელი შეძლეს, და დაამსხვრ იეს იმ დროინდელი მითი, — „გურულებმა ფეხბურთის თამაში არ იციანო.“

იმ დროისათვის, სპორტსმენთა ასეთი ძლიერი პლეადის არსებობა სოფელ შემოქმედში, სპორტის დიდოსტატის, ბატონი ტოგო დუმბაძის დამსახურებაც იყო.

ვალიკო ჭანუყვაძე 2006 წლის 14 ივნისს გარდაიცვალა.

ნანა (ნანი) ჭანუყვაძე

რედაქციისგან: *ორიოდ წელში აღინიშნება ოზურგეთში პირველი საფეხბურთო გუნდის დაარსების 100 წლისთავი. ძალიან საშურია მსგავსი ისტორიების გამოქვეყნება.*

ცნობარში „ფეხბურთი 89“ გკითხულობთ: 1944 წელს სახელმწიფო უშიშროების რაიონული განყოფილების უფროსის, ვასილ პიჭაძის ინიციატივით („ფეხბურთის კარუზოს“ ბორის პიჭაძის ბიძაშვილი) აღდგა ფეხბურთელთა გუნდი. მასში გაერთიანდნენ შუტუ სალუქვაძე, ვასო ბერიტაიშვილი, კოტე გოგატაძე, მიშა პიჭაძე, ზაზა მასხულია, მამა ცეხლაძე, ვალერიან ჭანუყვაძე, ავთო ურუშაძე, მამუკა გირკელიძე.

ომის დასრულების შემდეგ ამ გუნდს შეუერთდნენ: ვალერიან გეგიაძე, მიხელ შავშვილი, ივანე სვანიძე, მამია და ბახა მექჯაბიშვილები, დუდე და ზაზა მასხულიები, ილია მეგრელაძე, ნიკოლოზ ჭანუყვაძე, დავით სამსონიძე და სხვები. გუნდს „დინამო “ ეწოდა და კონსულტაციისათვის 2 თვით ბორის პიჭაძე მიიწვიეს.

1946 წელს აღნიშნული გუნდი საქართველოს პირველობაზე პირველი კატეგორიის გუნდებს შორის ბრინჯაოს პრიზორი გახდა...1950 წელს საქართველოს თასის გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც იმ დროისათვის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან თბილისის „ტოდ-ოსთან“ დამარცხდა... თუმცა საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მიიღეს...აქ ერევნის „არარატთან“ მოუწიათ თამაში და დამარცხდნენ. თუმცა იმ დროს ეს დიდი მიღწევა იყო.

ილია და გურულები

ამბავი რამდენიმე გურული გამომცემლებისა, მესტამბეებისა და ერთი მთავარი ასოთამწყობისა

1893 23 სექტემბერს (ძველი სტილით) ილა ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გამართულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად გადაწყდა კონსტანტინე თავართქილაძისთვის გასაგზავნი სახელმძღვანელოების შეძენა.

სახელმძღვანელოების შეძენის ამბავი მე „ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანედან“ გავიგე, რაც უფრო ადრე გავიგე და ჩემს მცირერიცხოვან მკითხველს სასწრაფოდ ვამცნე ვოლტერის „ზადიგი ანუ ბედისწერის“ გამოცემის ამბავი იყო... სად თუ არა ოზურგეთში.

აი, ნახეთ რას და როგორ ვწერდი ჩემი ავტორობით გამოცემულ „სხვის წიგნებში მოგზაურის ფიქრების“ მე-4 და მე-5 გვერდებზე:

„დედა კერძს გაზქურიდან დგამს და მწვანილს აყრის.

მეც მოვაყრი... მოვაყრი და მოგზაურობის დაწყებამდე, ერთ მოგზაურს გავიხსენებ. ეს მოგზაური არც მიკლუხო-მაკლაია, არც ჯეიმს კუკი, არც ქრისტეფორე კოლუმბი, არც ვასკო დე გამა და არც ჩვენი რაფიელ დანიბეგაშვილი. ამ კაცს კანდიდი ჰქვია. პატიოსანი და გულწრფელი ჭაბუკია, როგორც ამბობენ, და ჩვენ რა უფლება გვაქვს, ეჭვი შეეიტანოთ; წარმდგენი ხომ დიდი ფრანგი განმანათლებელი ბატონი ვოლტერია. სხვათაშორის, ბატონი ვოლტერი კანდიდზე უფრო ადრე, ზადიგთან ერთად გავიცანი.

„ზადიგის“ (თარგმანი ა. ახნაზაროვისა), ერთ-ერთი გამოცემა შორეულ 1891 წელს, ოზურგეთში, მიქელაიშვილის და თავართქილაძის წიგნის მაღაზიის სტამბაში დაიბეჭდა და ჩემდა და ბევრ სხვათა გულსახეთქად, რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ინახება ამჟამად და როგორც პირი უჩანს, ასეც იქნება კაი ხანი. რას ვიზამთ?! მოდით, კანდიდს მივუბრუნდეთ, უცნაური მასწავლებელი ჰყავდა ახალგაზრდას, პანგლოსად უხმობდნენ, თვითმარქვია ფილოსოფოსადაც მოიხსენიებდნენ მავანნი. ნამეტანი ოპტიმისტური შეხედულებები ჰქონდა დოქტორ პანგლოსს. ოდნავადაც როდი ჰგავდა ძალათ ფილოსოფოსი პანგსი ლოგიკა-ფსიქოლოგიის დიპლომიან მამაჩემს. „ბავშვებო, თქვენ საუცხოო სამყაროში ცხოვრობთ, სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი მიზეზი და შედეგი აქვს, სამყაროში, სადაც მოვლენები დასაწყისიდანვე მიისწრაფიან ბედნიერი დასასრულისაკენ“ — ჰო, ეს დოქტორ პანგლოსის სიტყვებია და არა, დღევანდელი გადასახედიდან, მაგისტრ გრიგოლ კილაძისა.“

დღევანდელი გადასახედიდან, მაგისტრ გრიგოლ კილაძე 2017 წელს 93 წლის და კიდევ რამდენიმე თვის გარდაიცვალა. ოქტომბერი იყო მაშინ და ოქტომბერია ახლაც... დედა, უკვე 88 წლისაა და ზუსტად ისევე მხნე და ჯანმრთელია, როგორც 5 წლის წინათ გახლდათ. რაც შეეხება. მწვანილმოსაყრელი კერძის ამბავს, სულ სხვა სივრცის, დროსა და ადგილის ამბავია და თუ დაგაინტერესა, წიგნის მოძიება და გადაშლა დაგჭირდება მე-3 და მე-4 გვერდებზე.

რაც შემეხება მე, კონსტანტინე თავართქილაძეზე ვაპირებ საუბარს, თუმცა მანამდე „გურიის მოამბეში“ კახა ჩავლეშვილის მომზადებული სტატია რომ არ ვახსენო, ვერაფრით შევძლებ (იხ. ბმული ჰტტპ://გურიის-მოამბე.ცომ/არცჰივეს/37974).

მენდე, საინტერესო სტატიაა და წაკითხვა საინტერესოც იქნება და სასარგებლოც.

არც „იმაზა დამწყდება გული“ თუ ჩემი სტატიის კითხვას შეწყვეტ და ჯერ კახა-ბატონის ხსენებულ სტატიას წაიკითხავ.

მანამდე კიდევ ერთ თავართქილაძეს გავიხსენებ.

წინასწარ შევნიშნავ, ბიძინა თავართქილაძის შესახებ პირველად და ერთადერთხელ გავიგე ეკა პატარაიას სტატიიდან „რომელი ცნობილი ქართველი მწერლის პორტრეტი დახატა კუბოდან შალვა ქიქოძემ“.

სტატია ჟურნალ „თბილისელებში“ დაიბეჭდა .(იხ.http://old.tbiliselebi.ge/-index.-php?newsid=268451707 ბმული) და თუ მე, მამაჩემის არ იყოს - „რამე დამეჯერება, ღირს წაიკითხოთ.

მე ერთადერთ ამონარიდს გთავაზობთ:

„ერთხელ შალვას მამას, გერასიმეს ქუჩაში შეხვედრია ბიძინა თავართქილაძე, იმ დროს საკმაოდ ცნობილი პიროვნება. მას გერასიმესთვის უთხოვია შვილთან შუამდგომლობა, რათა ახალგაზრდა მხატვარს მისი სამუშაო კაბინეტისთვის კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის პორტრეტები დაეხატა. შალვას ეს დაკვეთა მოკლე დროში შეუსრულებია და დამკვეთს ამჯერად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პორტრეტებიც მოუსურვებია. ილიას პორტრეტი მხატვარს ტრაგიკულად დაღუპული მწერლის კუბოში ჩასვენებული ცხედრიდან შეუსრულებია. სამწუხაროდ, ყმაწვილობის პერიოდის ეს პორტრეტები არ შემორჩენილა. 1937 წელს ბიძინა თავართქილაძე რეპრესირებულთა შორის მოექცა და ეს ნამუშევრებიც დაიკარგა. ჭაბუკობის წლებში შალვა ქიქოძემ რუსულიდან ქართულად თარგმნა არტურ კონან დოილის გასმაურებელი ნაწარმოები „შერლოკ ჰოლმსი” და დასურათა კიდეც... 1914 წელს შალვა ქიქოძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” სტიპენდიატად ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იმავდროულად, ის ბედს ცდიდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების აკადემიაში, ფერწერის განყოფილებაზე ჩასარიცხად. გამო-ცდებზე ორჯერ ჩაიჭრა, მაგრამ სასოწა-რკვეთილებას არ მისცემია და მესამე ცდაზე აკადემიაში მოხვდა“.

„მატიანეს“ კალენდრით არა, 1914, არამედ 1894 წლის მარტის ბოლოა და „ ოზურგეთში „კ. ოცხანელის“ ხელმოწერით გამოდის კონსტანტინე თავართქილაძის მიერ შედგენილი კრებული „სონარი“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ელეგია“, „გუთნისდედა“ და „ქართვლის დედას“.

სონარი, მუსიკალური ტერმინი რომ იყო იცოდი?

მე – არა, გასაგებად „ხელოვნების ენციკლოპედიურ ლექსიკონის“ ელვერსიას მივაკითხე და ისე გავიგე.

„ქართული მრავალღეროვანი (ძირითადად, ექვსღეროვანი) ჩასაბერი საკრავი. გავრცელებულია ძირითადად გურიაში (სონარი) და სამეგრელოში (ლარჭემი). ღერები სხვადასხვა სიგრძისა აქვს. საკრავი მრავალხმიანია, მაგრამ ტექნიკურად შეზღუდული.

სინონიმი: ლარჭემი

წყარო: ხელოვნება : მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი : მოსწ. / [შემდგ.: ნანა მაჭარაშვილი ; რედ.: ჰამლეტ ჩხენკელი ; მუსიკის შესახებ მასალები მოამზადა ნინო ბესტავაშვილმა]. - თბ. : მერიდიანი, 2004. - 80გვ. : ილ. ; 28სმ.. - ISB : 99928-32-31-2 : [ფა.][: 22803].

„სონარის“ გამოცემას გაზეთ „კვალში“(კვალი 1894, 33, გვ.15-16.) რეცენზია მოჰყვა, რომელსაც ვერ ავუვლი გვერდს, ჯერ ერთი თავად რეცენზიაა საინტერესო და მეორეც, კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მაქვს მოსათხრობი „კვალიდან“...

„რეცენზია

„სონარი, ლექსთა კრება თავართქილაძისა. ეს პაწია წიგნაკი ჩინებული შედგენილია. ისეთი პოეტური და აზრიანი ლექსები შეუკრებია ერთად თავართქილაძეს, რომ წამკითხველი ორმაგად დარჩება მისი წაკითხვით კმაყოფილი: ნამდვილ პოეზიით გულს დაიტკბობს, მიმართულებასაც კარგს მიიღებს და გონების განსავითარებლადაც გამოადგება. სწორედ, რომ ასე მოხერხებულად უნდა დგებოდეს საერო საკითხავი წიგნები. კარგა მოსქო წიგნაკია და ძალიანაც იაფია. სულ ღირს ორი შაური. გამომცემელს სამართლიანად დაურქმევია წიგნისთვის „სონარი“. ეს არის ერთნაირი ძველი სამუზიკო ტკბილ-ხმოვანი საკრავი, რომელიც იმერეთ-გურიაშია, გავრცელებული, ის შედგება ექვსი, თუ შვიდი კალმის მსრისაგან, რომელიც ბლის ქერქით არის ერთმანეთზე მიკრული. ყოველს მსრას თავისი განსხვავებული ხმა აქვს. დამკვრელს სწრაფად გადი-გადმოაქვს ტუჩებთან, რომელნიც შიგ ბერვენ. და შვენიერს ხმებს გამოსცემენ. იმერეთში ამ სონარს „სასწრაფოსაც“ ეძახიან“.

დაპირებული ამბის „მოყოლის“ დროა.

„მატიანეს“ კალენდრით 1900 14 მაისია და გაზეთ „კვალში“ იბეჭდება „გამომცემელ კონსტანტინე თავართქილაძის წერილი რედაქციის მიმართ, რომლითაც იგი ნოე ჟორდანიასა და „ახალ მოსულისგან“ ითხოვს ნებართვას, ცალკე წიგნად დაბეჭდოს მათი პოლემიკური წერილები...“

„ახალ მოსული“ - ილია ჭავჭავაძეა!

რაც შეეხება თავად წერილს, მას ახლავე „გაახლებთ“:..

„წერილი რედაქციის მიმართ
ქ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთ «კვალში» დაუთმოთ ადგილი ამ მცირე შენიშვნას.

*ამას წინათ «ივერიის» რედაქციას მივუტანე პატარა წერილი დასაბეჭდათ, რომლითაც ბ-ნ «ახალმოსულს» ვთხოვდი გაზეთის საშუალებით ნება მოეცა ჩემთვის თავისი საპოლემიკო წერილების ცალკე წიგნათ გამოცემისა ბ-ნ ნ. ჟორდანიას «პრესასთან» და საპოლემიკო წერილებთან ერთათ. რედაქციაში მიპასუხეს: «უკნიაზოთ» ვერ დავბეჭდავთო. რაღა ჯანი მქონდა, დაუტოვე «კნიაზის» მისართმევათ ჩემი წერილი, იმ პირობით, რომ თუ დაბეჭდის ნებას არ მისცემდა «კნიაზი» «ივერიის» ფოსტაში უნდა გამოეცხადებინა უარი მაშინვე. მას შემდეგ ორ კვირაზე მეტია, მაგრამ «ივერიამ» ჩემი წერილის დაბეჭდვა არ ინება— მიზეზი კერ გამიგია, ამიტომ «კვალის საშუალებით ვთხოვ «ახალმოსულს», რადგან მისი ფსევდონიმის გამომჟღავნებას არ ინებებს რომელიმე გაზეთის საშუალებით, თუ სურვილი აქვს მომცეს ნება მისი საპოლემიკო წერილების ცალკე წიგნათ დაბეჭდისა ბ-ნ ნ. ჟორდანიას «პრესასთან» და პოლმიკურ წერილებთან ერთათ**

ქ. ბათუმი 7 მაისი,

კ. თავართქილაძე.“

სხვათაშორის, „იქვე დართულ სარედაქციო შენიშვნაში ნოე ჟორდანია უფლებას აძლევს დაბეჭდოს წერილი „გზა და გზა“, მაგრამ წერილ „პრესასთან“ დაკავშირებით ამბობს, რომ ის სულ სხვა თემას ეხება“, ამასთან, „სარედაქციო შენიშვნა“ ჩემს ძირითად სათქმელთან არანაირ კავშირში არაა, ამიტომ აღარ გავაციფრულე და პირდაპირ ეროვნული ბიბლიოთეკის „ბიოგრაფიულ ლექსიკონს“ მივაკითხე კონსტანტინე თავართქილაძის ბიოგრაფიის გასაცნობად და მინდა თქვენც სრულად გაგაცნოთ:

„კონსტანტინე თავართქილაძე
სხვა სახელი: კოწია თავართქილაძე
დაბადების თარიღი: დეკემბერი, 1861
გარდაცვ. თარიღი: 193?
კატეგორია: მეწარმე, საზოგადო მოღვაწე
ბიოგრაფია
დაბადების ადგილი: სოფელი ბასილეთი, ჩოხატაურის რაიონი.

1885 წელს დაიწყო წიგნებით ვაჭრობა, 1886 წლიდან ეწეოდა ხალხსნური (ნაროდნიკული) მოძრაობის პროპაგანდას, რის გამოც ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით წიგნები წაართვეს, გაასამართლეს და წიგნებით ვაჭრობა აუკრძალეს. 1888 წელს გამოსცა თ. კიკვაძის „პატარა მოთხრობა“ და ვ. ჰიუგოს „ძმა-ძმის მტერი“ (ა. წითლიძის თარგმანი), 1889 წელს ოზურგეთში გახსნა წიგნის სავაჭრო, სტამბა და უფასო სამკითხველო; ამავე წელს არჩეულ იქნა ოზურგეთის ქალთა სკოლის მზრუნველად, ააშენა სკოლის შენობა და იქვე მოაწყო სცენა დეკორაციებით; შემდეგ დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, დაბეჭდა „ჩანგი“, „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები; 1891 წლიდან უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა. 1892 წელს, სამეგრელოში, ვინმე აშორდიამ მთავრობის დავალებით, შექმნა მეგრული ანბანი, რათა მეგრელები ქართ-ველებისაგან გაეთიშა, კონსტანტინე თავარ-თქილაძემ ამ ამბის საწინააღმდეგოდ სენაკში გახსნა პირველი ქართული სტამბა, წიგნთსაცავ-სამკითხველო და წიგნთსავაჭრო (სტამბა „აუგსბურგის“ სწრაფმბეჭდავი მანქანით წიგნების დასაბეჭდად) სადაც დაიწყო ქართული წიგნის გამოცემა. სვანგებოდ დაქირავებული ხალხი სამეგრელოს სოფლებსა და დაბებში ავრცელებდა წიგნებს, რამაც დიდი სამსახური გაუწია სამეგრელოში ქართული ენის გავრცელებას და აშორდიას ჩანაფიქრის დამარცხებას. 1895 წელს სტამბა და წიგნთსავაჭრო განყოფილება გახსნა ბათუმში, მთელ აჭარაში ავრცელებდა წიგნებს. 1902 წელს არალეგალური ლიტერატურის გავრცელების გამო, მთავრობის მოთხოვნით ბათუმიდან სტამბა ტფილისში გადმოიტანა და სვამომცემლო საქმიანობა კიდევ უფრო გააძლიერა. შეადგინა და გამოსცა დიდი სახალხო და კედლის კალენდრები (1894-1919), ბეჭდავდა პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურასაც, რის გამოც ჩამოართვეს შრიფტები, გაასამართლეს და დააპატიმრეს (დაპატიმრებული იყო 40-ჯერ), მისი დაჟინებული მოთხოვნით გაიხსნა მეტეხის ციხის სტამბა-წიგნთსაკაზმავი, სადურგლო, საზეინკლო, სამკერვალო და სხვადასხვა სახელოსნოები, სადაც 600-მდე პატიმარი იყო დასაქმებული. კონსტანტინე თავართქილაძემ ციხეში სოლომონ ვადაჭკორიას დახმარებით, პატიმართა პირობების გაუმჯობესების მიზნით, გაფიცვა მოაწყო. მან ციხიდან გამოსვლისთანავე დაიწყო პოლიტიკური წიგნების გამოცემა „კულტურის“ და „მუშის“ ფირმით; დაბეჭდა ეგნატე ნინოშვილის სრული თხზულებანი, ნოე ჟორდანიას რჩეული ნაწერები, კ. კაუტსკის „ანტიკური ქვეყანა იუდეველთა და ქრისტიანეთა“, „ჩვენი დროის ეროვნება“, ე. ერკმანის და ა. შატრიანის „გლეხი კაცის ისტორია“ და სხვ. 1891 წელს ოზურგეთში დააარსა მეეტლეთა ამხანაგობა, 1895 წელს შექმნა მეპრეშუმეთა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“. 1896 წელს, კონსტანტინე თავართქილაძის თანამშრომლობითა და შეწირულობით გურიაში, სოფელ აკეთში დაარსდა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, ოზურგეთს შესწირა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, საქართველოში დაარსებულ თითქმის ყველა სამკითხველოს ეხმარებოდა წიგნებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობას (მისი და ალ. მიქელაიშვილის თაოსნობით გაიგზავნენ საზღვარგარეთ ძმები შალვა და კომანდო გოგელიები), 1906 წლიდან, თბილისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ლამპარი“. 1906 წელს, თავისი ხარჯით, საკუთარ სტამბაში დაბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) პარტიული მოხსენება, რომელიც წარდგენილი იყო სტოკჰოლმის პარტიულ ყრილობაზე. სომხურად დაბეჭდა „გლეხი კაცის ისტორია“, ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“ და სხვ. სომეხ კლერიკალთა დასმენით აუკრძალეს „არსენას ლექსის“ ბეჭდვა, რის გამოც სათაური“შეუცვალა და „არსენას ზღაპარი" დაარქვა. 1900 წელს პირველმა მოინდომა საქართველოში ქაღალდის ქარხნის დაარსება, მაგრამ ვერ განახორციელა, 1910 წელს კვლავ დაიწყო მოლაპარაკება, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. 1925 წელს ("თეატრი და ცხოვრება" 7, გვ. 11-13) დაიბეჭდა კონსტანტინე თავართქილაძის წერილი „რითი დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წლისთავი“– „გავმართოთ ბეჭვდითი საქმის პირველი გამოფენა, დავაარსოთ ამ დღესასწაულის საზეიმოთ ქაღალდის ქარხანა და ამითი დავაგვირგვინოთ ის დიდი საქმე-გონების ლამპრის წყარო-რომელსაც მწიგნობრობა ეწოდება“. გამომცემელი, მესტამბე, მწიგნობარი, ქველმოქმედი“.

წყარო: ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი, 1801-1952: ტ. II ე-ლ / იოსებ იმედაშვილი.-თბ.,2021.-გვ.239“.

გიო კილაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №24,25,26

ანზორ მაჩიტაძის ხსოვნის ტურნირზე გურულების წარმატება



სამტრედიაში დასრულდა რესპულიკური საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ტრადიციულად ყოველ წელს იმართება და ჭადრაკის ცნობილი მწვრთნელ-მასწავლებლის, ანზორ მაჩიტიძის ხსოვნას ეძღვნება. წელს მასში 190 მოჭადრაკე იყო ჩართული, რომლებიც ქვეყნის 15-მდე მუნიციპალიტეტს და ქალაქს წარმოადგენდა. ტურნირში გურიიდან 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა, რომელთა შორის უმეტესობა ლანჩხუთის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელები (მწვრთნელები ადამ და ტარიელ ხუხუნაიშვილები) იყვნენ, ხოლო ოზურგეთი სამი მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ ჩოხატაურლებმა, რომლებიც გასულ წლებში მსგავს ტურნირებში აქტიურობით გამოირჩეოდნენ, ამჯერადაც ვერ მოახერხეს ამ, საკმაოდ პრესტიჟულ ღონისძიებაში მონაწილეობა,

ტურნირი, რომელიც შვეიცარული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, ექვს საკვალიფიკაციო ჯგუფში მიმდინარეობდა. მამაკაცები, ქალები, 10 წლამდე ასაკის გოგონები და ჭაბუკები (ცალ-ცალკე) და 8 წლამდე ასაკის გოგონები და ჭაბუკები (ცალ-ცალკე) .

თავშივე უნდა ავღნიშნოთ 8 წლამდე ასაკში მოასპარეზე, ოზურგეთელი **ლაზარე ჩხარტიშვილის** წარმატება (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე), რომელმაც თეორიული ცოდნით ,და გააზრებული თამაშით ბრწყინვალე შედეგი აჩვენა. მან 7 შესაძლებლობიდან 6,5ქულით, 50 მონაწილეს შორის ერთპიროვნულად მოიპოვა პირველი ადგილი . მასვე ერგო ,ჩემპიონის ოქროს მედალი , თასი და დაწესებული ფულადი პრიზი 250 ლარი.. ლანჩხუთელი მოჭადრაკეებიდან, განსაკუთრებით გოგონებმა იყოჩაღეს.. 10 წლამდე ასაკში, ფინიშთან 5,5, - 5,5 ქულით მივიდა **ანასტასია კვირკველია** (მწვრთნელი ადამ ხუხუნაიშვილი) და მისი ქუთაისელი „სეხნია“ ა.ჭიჭინაძე. მხოლოდ დამატებითი კრიტერიუმით მოუწია ანასტასიას ვერცხლის მედალზე და შესაბამის საპრიზო ფულად ჯილდოზე (150 ლ)დაყაბულება. შექებას იმსახურებს ასევე **ანასტასია ებრალიძე.** მან 24 მონაწილეს შორის, 5,5 ქულით, დამაჯერებლად და ერთპიროვნულად დაიკავა პირველი ადგილი და ფულადი ჯილდოც დაიმსახურა .სამეულს მიღმა დარჩენილებიდან შექებას იმსახურებს ოზურგეთელი **სანდრო გოგუაძე,** რომელიც მხოლოდ ერთი ქულით ვერ მიწვდა მედალს, თუმცა კარგად ითამაშა და შინაარსიანი პარტიებიც ჰქონდა. ქალებში კარგი თამაში აჩვენა **ლილე ფირცხალაიშვილმა,** თუმცა ამ ნიჭიერ გოგონას ნადვილად შეეძლო უკეთესი შედეგის დადება. წელს მას კარგი სეზონი ჰქონდა და თავიც კარგად წარმოაჩინა. ვფიქრობთ გურიის ქალთა წლევადელ ჩემპიონატში ლანჩხუთელთა სახელით გამოვა და თავის სიტყვასაც იტყვის. წარმატებულად უნდა ჩაითვალოს 8 წლამდე ასაკში მოასპარეზე **მარიამ გოგუაძის** თამაშიც, მითუმეტეს როცა მას ოფიციალურ და მასშტაბურ ტურნირებში თამაშის გამოცდილება ნაკლები აქვს.

კარგ შედეგს ველოდით ლანჩხუთის მოქმედი ჩემპიონიდან, **მიხეილ აფხაზავადან,** რომელმაც სულ რაღაც ერთი თვით უკან, ბათუმის საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

სამაგიეროდ ამ ჯგუფში საკმაოდ კარგად ითამაშა „ძველმა გვარდიამ“,რომელსაც გამოცდილი და ტიტულოვანი „დუეტი“- **ნუგზარ გვარჯალაძე** და ტარიელ ხუხუნაიშვილი წარმოადგენდა. მათ შესაბამისად 4,5 და 4,0 ქულა დააგროვეს. 75 წლის ნუგზარისათვის კი ეს 4.5 ქულა ვეტერანთა შორის ოქროს მედალის მომტანი აღმოჩნდა, რასაც გურიის მოჭადრაკეთა ოჯახი ერთსულოვნად ვულოცავთ.

ქირავდება საოფისო ფართი ქალაქის ცენტრში. ტელ: 558 499100

მადლობა კეთილ ადამიანებს

სოციალურად დაუცველი ვარ. სიძე (ქალიშვილის ქმარი) მძიმედ არის ავად. თავის ტვინზე სიმსივნე აქვს. გვყავდა ბათუმში, ქუთაისში, თბილისში...

მიუხედავად სახელმწიფოს მზრუნველობისა, დამატებითი ხარჯები მინცაა საჭირო, რას გაწვდება ჩვენი პენსია.

გვერდში მიდგას მზრუნველობა მოკლებულთა ყოველდღიური ერთჯერადი კვების უფასო სასადილოს კოლექტივი. მთ ყოველდღიურად მოაქვთ ჩემთან სახლში საკვები.

მადლობა სასადილოს უფროსს თამუნა შარაშიძეს, მარიკა ანთაძეს, ფატიმა ტულუშს, კობა რამიშვილსა და ლენა ინწკირველს ყურადღებისთვის.

ლამარა ფრანგულაშვილი,
ქ. ოზურგეთი, წმ. გიორგი №45-ში მცხოვრები

სკანვორდი



პასუხები:

ბოლოდროინდელ ინფორმაციით, ეროვნული ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკურ ფონდებს ციფრულ ფორმატში ინახავს.

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



რას ჰფიქრობენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდელოებაზე?

ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ პეტერბურგში წასულ(1904 წ.– ვ. გ.) ოქტომბრის 23-ს, ცნობილის მღვდლის გრ. პეტროვის თხოვნით, მამა იოსებ ჩიჯავაძეს „32 მღვდლის კავშირის“ სხდომაზე ვრცელი მოხსენება წაუკითხავს ჩვენის სამღვდელოების თანამედროვე მოძრაობის შესახებ. ამ მოხსენებაში მ. ჩიჯავაძეს(დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძეს – ვ. გ.) დაუხატავს საქართველოს ეკკლესიის მდგომარეობა რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ დღევანდლამდე, მოკლედ და ნათლად დაუსურათებია რუსის ექსარხოსების „მოღვაწეობა“ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში: საეკკლესიო მამულების ჩამორთმევა (1852 წელს), ადგილობრივ მღვდელმთავრების უფლებათა შეზღუდვა, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების გაუკუ-ღმართება, მათი რექტორ-ზედამხედველების საზიზღარი პოლიტიკა, ვოსტორგოვის მიერ შექმნილი საეკკლესიო სკოლები და მათი მდგომარეობა, 31 მაისის ინციდენტი (იგულისხმაბა 1909 5 წლის 31 მაისის ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დარბევა – ვ.გ.), რომელშიაც ყველაზედ მეტი „ღვაწლი“ ცნობილ არხიმანდრიტს ნიკანდრს მიუძღვის, იმ ნიკანდრს, რომელიც ამის შემდეგ სინოდმა მღვდელმთავრობით დაავჯილდოვა.

მოხსენებას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე სამღვდელოებაზე, რომელსაც ერთხმად დაუდგენია: ქართველ სამღვდელოებას გამოეცხადოს სრული თანაგრძნობა და სოლიდარობა, ხოლო სინოდსა და მის მიერ დადგენილ ექსარხოსებს, სემინარიის ნარექტორალს ნიკანდრს (არქიმანდრიტი ნიკანდრი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და საქართველოდან გაიწვიეს – ვ. გ.), ვოსტორგოვს(იოან ვოსტორგოვი ამ დროს უკვე გაქცეული იყო საქართველოდან – ვ. გ. და სხვებს - ზიზღი და აღშფოთებაო.

1905 წლის ნოემბერში გაზეთ "ცნობის ფურცლის" 1905 წლის 21-ე ნომერში მესამე მასალაც დაიბეჭდა სათაურით **„ახალი წყალობა“**. მასალის ავტორი ოფიციალურად „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი იყო, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი დეკანოზ დავით ღამბაშიძეს ეკუთვნოდა. წერილის ავტორი პრონციპულად არ ეთანხმება რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის მიერ კავკასიის საეკლესიო მმართველობის გარდაქმნის პროექტს. სიტყვა „წყალობასაც“ ირონიული ქვეტექსტი ახლავს. მოგვაქვს ეს წერილიც მთლიანად.

ახალი წყალობა

სინოდს ჩვენზე, ქართველებზე, ახალი წყალობა მოუღია.

პეტერბურგიდან საკუთარმა კორესპონდენტმა „ცნობის ფურცლისამ“ ტელეგრამით აუწყა ამ დღეებში ქართველს საზოგადოებას, სინოდმა გადასწყვიტა რეფორმა ქართულის ეკკლესიის მართვა-გამგეობისაო.

რაში მდგომარეობს ეს რეფორმა?

არქიეპისკოპოზის სახელის მაგივრად მმართველს ქართულის ეკკლესიისას ერქმევა უფრო დიდი სახელი - მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ეყოლება ერთი ოთხად უფრო დიდი სამწყსო, რადგანაც მის მფლობელობაში იქნება მთელი ჩრდილო კავკასიაცა.

გაუქმდება პატარა ტიტული საქართველოს ექსარხოსისა და დაკანონდება უფრო დიდი სახელწოდება - კავკასიის მიტროპოლიტისა.

ამ მიტროპოლიტს ექმნება ავტონომიური უფლება, ესე იგი, შინაურ მართვაში იგი დამოუკიდებელი იქმნება სინოდისაგან, რის გამოც მიტროპოლიტზე საჩივარიც - კი არ შეიძლება, თუ იგი უფრო უარესი მდევნელი იქნება ქართველობისა, ვიდრე იყვნენ ექსარხოსნი.

ერთი სიტყვით, სავსებით უქმდება საქართველოს ექსარხოსობა და სამაგიეროდ არსდება მიტროპოლია კავკასიისა. რეფორმაც სწორედ ასეთი უნდა!

მკითხველი არ უნდა მოსტყუვდეს სიტყვით - ავტონომია.

ავტონომია ორგვარია: ბიუროკრატიული, როდესაც ავტონომიური მეთაური რომელიმე ოლქისა ინიშნება თავისს თანამდებობაზე უმაღლესის მთავრობის მიერ, და დემოკრატიული, როცა მას ირჩევს საზოგადოება, ხალხი, სამწყსო.

პირველი ავტონომია არსებობდა ძველს დესპოტიურს სპარსეთში და ავტონომიურს მმართველებს სხვა და სხვა კუთხეებისას ერქვათ სატრაპები, რომელნიც უფრო უარესნი დესპოტნი იყვნენ, ვიდრე მათნი დამნიშვნელნი - სპარსეთის მეფეები. ახლაც არსებობს ოსმალეთში ამგვარი ავტონომია: ყოველი ფაშა ავტონომიური გამგე არის ფაშალიკისა და უარესი მტარვალი, ვიდრე მისი დამნიშვნელი.

ეს ასეც უნდა იყოს და სხვაფრივ ვერ იქნება. ბიუროკრატი, დიდი ბობოლაა იგი თუ პატარა, ყოველთვის ირჩევს თავისზე უარესსა, რომ ქვეყნის თვალში არამც თუ არ დაიჩრდილოს, არამედ უკეთესს საუნჯედ გამოჩნდეს.

ასეთია პსიხოლოგია ბიუროკრატიისა, რის გამოც ყოველი დაბალი საფეხური უარესია მაღალზე და კიბე თავდება აუცილებლივ ხულიგანებით, როგორც ბიუროკრატის საძირკველით.

სრულიად სხვაა დემოკრატიული ავტონომია. ერის, საზოგადოების, სამწყსოს სიკეთე მოითხოვს, რომ გამგედ, მმართველად იყვნენ საუკეთესო მამულიშვილნი და ამისთვის-კი არჩევანია საჭირო.

რამდენადაც ბიუროკრატიულს წესწყობილებაში უარესების დანიშვნა აუცილებელია, იმდენად დემოკრატიულს რეჟიმში საუკეთესოების არჩევა უზრუნველყოფილია.

მაგრამ მკითხველმა შეიძლება იფიქროს: იქნება კავკასიის მიტროპოლიტის არჩევის უფლება მიენიჭოს სამწყსოსაო. ეს ძლიერ ძნელი მოსალოდნელია, რადგანაც სინოდი ახლაც მტკიცედ ადგია ბიუროკრატიულს გზასა. მაგრამ ვსთქვათ, რომ ეს უფლება მართლა განხორციელდეს, დაკანონდეს, რას მოიგებს ქართველთა ეკკლესია? ვერაფერსა, რადგან ნამდვილად მიტროპოლიტის არჩევა ჩრდილო კავკასიას ერგება: იქ ორჯერ მეტი მცხოვრებია, ვიდრე საქართველოში. ამნაირად კავკასიის მიტროპოლია ნიშნავს ქართული ეკკლესიის გაუქმებას, ამოფხვრას და ქართველის მრევლების მიწერას ჩრდილო კავკასიაზე.

სად არის ხსნა? საქართველოს ეკკლესიას უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და გამგე არჩეული ქართველის სამღვდელოების და სამწყსოს წარმომადგენლების მიერ და ეს ყოვლად კანონიერი და ყოვლად სამართლიანი სურვილი და მოთხოვნა არ შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ახლავე, დაუგვიანებლივ.

მხოლოდ სამღვდელოებას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ქართულს ეკკლესიას თავისუფლებას დაუბრუნებენ ზევიდგან. ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას-კი არასდროს არ მიანიჭებს. ეს თავისუფლება უნდა თვითონ მან მოიხვეჭოს, თვითონ მან უნდა აღადგინოს უკანონოდ და უნამუსოდ გაუქმებული ავტოკეფალია, რასაკვირველია, სამწყსოს დახმარებით.

ქართველ ავტოკეფალისტებს აქტიურად უჭერდა მხარს აკაკი წერეთელი. 1905 წელს მას დაუწერია **„ვარანცოვი (პოემა დიალოგებად)"**. ამ ნაწარმოებით აკაკი წერეთელი აგრძელებს თავის პატრიოტულ პოეზიას.

როცა პოემას აფასებდა, იოსებ გრიშაშვილი წერდა: „როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ეს პოემაც ავტორის ჩვეულებრივი ყაიდით არის დაწერილი, რომელსაც არ აკლია ის უარყოფითი მხარეები ლექსის აღნაგობის მხრივ, რომელიც დამახასიათებელია მისი სხვა პოემებისა (გარდა „თორნიკე ერისთავისა“, „თამარ ცბიერისა“ და ნაწილობრივად „პატარა კახისა“). „ვორონცოვი“ დაწერილია პ. უმიკაშვილის ერთმოქმედებიან პიესა „სამზადისი“-ს „პლანიროვკით“; აქაც მომქმედ პირებად იგივე მწერლებია გაცოცხლებული."

მკითხველს ვთავაზობთ პოემის ტექსტს.

ვარანცოვი

(პოემა დიალოგებად)

I თავი

ვახტანგ ორბელიანი და მისი ძმა ალექსანდრე

ალექსანდრე

წაველ წმინდა სიონში,
რომ ლოცვა მომესმინა,
მაგრამ მწარე ოცნებამ
სულ სხვა გზით გამაფრინა:

მომაგონდა ძველი დრო,
დღეს, თითქმის, სანატრელი,
რომელზედაც შეცდომით
ჩვენით ავიღეთ ხელი;

ის დრო, როცა ჩვენივე
ჩვენ ვიყავით უფროსი
და სამღვდელოებასაც
ყავდა კათალიკოსი;

გაისმოდა ყოველგან
წირვა-ლოცვა ქართული;
კანანახით გალობა,
ქართულ კილო ჩართული.

დღეს სადღაა არც ერთი?
სუყველა გადაგვარდა;
შეგვეძულდა ჩვენი თავი
და სხვაც არ შეგვიყვარდა.

დატრიალდა უკუღმა
ჩვენი ცხოვრების ჩარხი...
ქვეყნის შეუფერებლად,
სხვა კუთხით გაჭყავთ არხი!..

დღეს ნინოობა არის,
მოციქულთა სწორისა,
სიონში ვერ ვინ ვნახე,
გარდა ერთი-ორისა!

რატომ? მიტომ რომ დღესაც
აღარ სწირვენ ქართულად
და ჩვენი ლიტანია
მოსპობილია სრულად.

ეკზარხოსი სწირავდა
ფორმად სლავენურადა;
მლოცველებს არ ესმოდათ,
ქონდათ სანანურადა.

ასე დღეს ხვალიობით
ხალხი დაკარგავს რჯულსა...
დამღუპველი შარა-გზით,
მიადგება უფსკრულსა.

მე ქართველი ურწმუნო
ვერ წარმომიდგენია!..
აი რამ მომიკიდა
ცეცხლი და გეენია! (ტირის)

ვახტანგ

იჰ, შენ და შენს ოცნებას!..
ლამის გადაგიყოლოს
მაგრე ხომ შენს სიცოცხლეს
შენვე მოუღებ ბოლოს?!

ალექსანდრე

და რად მინდა სიცოცხლე,
მწვავი, გამწარებული,
თუ მუდამ ნაღველ-შხამით
მევსებოდეს მე გული?

ჯერ იყო და თათრებმა
არ მოგვცეს მოსვენება,
იტაცებდა იმათ გულს
ჩვენი ქვეყნის შვენება.

ერთი მხრიდან სპარსეთი,
მეორიდან თურქები
და, მათი წანაქეზი,
კავკასიონის მთები.

რჯულის და ეროვნების
მოკავშირე ქართველი,
მარტო თვითონვე იყო
თავისს-თავის დამცველი.

ვიგერებდით ურიცხვ-მტერს,
სანამ გვქონდა ძალ-ღონე.
ვითხოვდით შემწეობას;
არ ვინ იყო გამგონე...

ვახტანგ

(ჩამოართმევს სიტყვას)

და მაშინ გამოგვიჩნდა
ჩვენ მომხრედ ჩრდილოეთი,
ჩვენი თანა-მორჯულე,
ჩვენსავით სწამდა ღმერთი!

მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით,
დაგვარწმუნა მან ფიცით,
ჩამოგვართვა პირობა
და მერე?... აღარ ვიცით!

ესეები სუყველა,
მეც კი მაქვს შეგნებული,
მაგრამ ჯერ კიდევ მაინც
არ გამტეხია გული!

რაც რომ დღეს გვემართება,
დროებითია ყველა.
აქაური მთავრობა
მოქმედობს როგორც მელა;

ჩაუგდია სახრავად
უპატრონო ქვეყანა!..
მგელი, რომ ცხვარს დაიჭერს,
მას შეიბრალებს განა?

იქ მთავრობას გვაბეზღებს
ატყუებს თვით რუსეთსა
და აქ კი ჩვენ სისხლსა გვწოვს...
აღარ სტოვებს არც წევთსა.

მაგრამ მითქვამს და ვამბობ,
რომ ეს წამავალია!
რა გაეწყობა, უნდა
მოვითმინოთ ვალია.

ალექსანდრე
კი, მაგრამ აღარ უნდა
მოთმინებას საზღვარი?
მაგისთანა ნუგეში
სიცრუეა... ზღაპარი.

თუ რომ ვერ მოვესწრებით,
რაღათ გვინდა იმედი?
გადაგვიწყდა, ეს არის,
საშვილიშვილოდ ბედი.

დღემდი თუ ხორციელად
მტრისაგან ვიყავთ ტანჯული,
დღეს უფრო არ მოგვიკლეს
ფარისევლობით სული?!

სული როცა მოკვდება,
მაშინ ხორციც მკვდარია!..
და აი ქართველობას
დღეს ხელი რამ დაჰრია!..

ვახტანგ

ეგ სუყველა მაგრეა,
აზრით მეც გეთანხმები,
მაგრამ რა ვქნა, რომ სულ სხვას
ჩამძახიან ჰანგები:

არსებობს შემოქმედი
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!..
მის ხელშია, ის გაჰწონს
საუკუნესა და წამს.

უმისოდ ყოლიფერი
ამ ქვეყნად ტყვილია!
ვისაც ის სწამს იმისთვის
სიკვდილიც კი ტკბილია.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 480-483

„ექვთიმეობა“ მოკრძალებულად აღნიშნეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, „ექვთიმეობა“ წინა წლებთან შედარებით მოკრძალებულად აღნიშნეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი პირები მეგობრული ვიზიტით პოლონეთში იმყოფებიან, ამიტომ „ექვთიმეობაზე“ ადგილობრივი ხელისუფლება მცირედ იყო წარმოდგენილი.

ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **ლავრენტი ბიგვავამ,** მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში ლიხაურის წმინდა ღვთისმშობლის მამათა მონასტრის წინამძღოლმა მამა **იოსებმა** (ღლონტი) და ქართველ წმინდა მეფეთა მამათა მონასტრის წინამძღოლმა მამა **ფილიმონმა** (დარჩია) აღავლინეს წმინდანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი.

შემდეგ გაიმართა მხატვრულ-ლიტერატურული საღამო. მუზეუმის დირექტორმა **რუსლან ურუშაძემ** ისაუბრა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლიხაურის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე **მარიამ კახიანმა** ექვთიმე თაყაიშვილის ერთ-ერთი საყურადღებო წერილი წაიკითხა, საფრანგეთში, ემიგრაციის დროს დაწერილი.

ღონისძიება რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმის - „ექვთიმეს“ ჩვენებით დასრულდა.

ტრიომ „ხელხვავი“ ტალინში გრან პრი მოიპოვა

2022 წლის 7-12 ოქტომბერს ესტონეთში, ქალაქ ტალინში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი „Baltic Wave 2022“ რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

ფესტივალის ფარგლებში, საერთაშორისო ჟიურიში მიწვეული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი – **კობა ბანძელაძე** და კულტურის ცენტრის მრჩეველი ფოლკლორის საკითხებში – **გიორგი გორდელაძე.**

ღონისძიებაში მონაწილეობდა კულტურის ცენტრთან არსებული ტრიო „ხელხვავი“, (ხელმძღვანელი **ლაშა ჩხარტიშვილი),** რომელმაც ფესტივალის მთავარი პრიზი – „გრან-პრი“ მოიპოვა

ვულოცავთ თამუნა ლოურსმანაშვილს და ზაქარია მირიანაშვილს ჯვარდაწერებას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტური გაიმართა

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტურს ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გურიის რეგიონის მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, ავტორმთქმელებს, ზეპირსიტყვიერების შემკრებთ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს უმასპინძლა.

მეორე ტურში მონაწილეობდნენ:

ლანჩხუთი

ანსამბლი **„ხელხვავი“,** ტრიო **„ცისიერი“, ჩხაიძეების საოჯახო ანსამბლი, ნინო მშვიდობაძე, მაია ჭანტურია;**

ჩოხატაური

ანსამბლი **„გურია“, რუსუდან** ბერიშვილი, ანსამბლი **„ნენანა“,** ანსამბლი **„ამაღლება“;**

ოზურგეთი

ქორეოგრაფიული ანსამბლი **„გურია“,** ანსამბლი **„ელესა“, ავთანდილ სურგულაძე, ანსამბლი „იადონი“,** ანსამბლი **„ვახტანგური“,** ანსამბლი **„შვიდკაცა“,** ანსამბლი **„რეხეული“,** ტრიო **„ხელხვავი“,** ანსამბლი **„შემოქმედი“.**

ეროვნული ფესტივალის ფარგლებში ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში გამოიფინა გურიის რეგიონიდან მეორე ტურში გადასული ტრადიციული რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები.

ეროვნული ფესტივალი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება

ბრინჯაოს მედალი ესპანეთიდან!

ესპანეთში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ოცდასამწლამდელთა შორის, 55 კგ წონით კატეგორიაში ოზურგეთელი **გიორგი თოხაძე** ბრინჯაოს მედალის მფლობელი გახდა .თოხაძემ იაპონელი მაცუი დაამარცხა! (მწვრთნელები **ძმები ზურაბიანები.)**

ვულოცავთ გიორგის მიღწეულ წარმატებას!

გიორგი თოხაძემ 2018 წელს ბუენოს აირესში ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლი, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპ-იეში გამართულ



ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება მოიპ-ოვა (გიორგი ორთავე ტურნირზე 51 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა).

7 დღის ამინდის პროგნოზი

24 ოქტომბერი ორშაბათი	25 ოქტომბერი სამშაბათი	26 ოქტომბერი ოთხშაბათი	27 ოქტომბერი ხუთშაბათი	28 ოქტომბერი პარასკევი	29 ოქტომბერი შაბათი	30 ოქტომბერი კვირა
წვიმა +8+15	წვიმა +7+14	მზე, ღრუბელი +9+15	ღრუბელი +12+21	წვიმა +13+21	მზე, ღრუბელი +14+23	წვიმა +9+16